საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს
ბატონ გიორგი ბერიძეს

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 102-ე მუხლის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტის მიერ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის (№09-01-08/56, 08.01.2018) ინიცირებიდან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 44-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 105^1 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 94^1 მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტს – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საჯარო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე“

გთხოვთ, დადგენილების პროექტს, უმაღლესი საბჭოს უახლოეს რიგგარეშე სესიაზე გატანის მიზნით მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

დანართი: 4- ფურცელი

პატივისცემით,
კომისიის თავმჯდომარე ნ. ჩხეტია ნინო ჩხეტია

საქართველოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი
№09-01-08/57
11. 01. 2018
5. ფურცელი

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და
საპროცედურო საკითხთა კომისია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საჯარო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის მიერ 2018 წლის 11 იანვრის სხდომაზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენის თაობაზე შეგროვებული ხელმოწერების ნამდვილობის დადგენიდან გამომდინარე, რომელიც იძლევა უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტის მიერ ინიცირებულ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციითა და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული შემდგომი პროცედურების გაგრძელების სამართლებრივ შესაძლებლობას, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 94[1] მუხლის შესაბამისად, მიიღო გადაწყვეტილება უმაღლეს საბჭოს წარედგინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საჯარო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე“.

პატივისცემით,
კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია

<u>**პროექტი**</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საჯარო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 105^2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტი (№09-01-08/56, 08.01.2018).

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 44-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 105^1 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, შეიქმნას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის საჯარო განხილვის საორგანიზაციო კომისია 12 წევრისაგან, შემდეგი შემადგენლობით:

ა) დავით გაბაიძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) მერაბ კარანაძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

გ) ნინო ჩხეტია – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

დ) ვლადიმერ მგალობლიშვილი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ე) ილია ვერძაძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მაჟორიტარები“-ს თავმჯდომარე;

ვ) დავით ბაციკაძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ქართული ოცნება - აჭარა“-ს თავმჯდომარე;

ზ) გია აბულაძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი;

თ) პეტრე ზამბახიძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი;

ნ. ჩხეტია

ი) გიორგი ბერიძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსი (კომისიის მდივანი);

კ) არჩილ ხახუტაიშვილი – დემოკრატიის ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი;

ლ) თენგიზ თევზაძე – აღმოსავლეთ-ევროპის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;

მ) ასლან ჭანიძე – თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის გამგეობის თავმჯდომარე.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ჩაქვი,
2018 წლის
№

ამონაწერი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის 2018 წლის 11 იანვრის №34 სხდომის ოქმიდან

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ნინო ჩხეტიას ინფორმაცია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საჯარო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე.

გადაწყვიტეს:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარედგინოს კომისიის დასკვნა და უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საჯარო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე“.
2. დადგენილების პროექტზე მომხსენებლად დაინიშნოს კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია.

კომისიის თავმჯდომარე ნ. ჩხეტია ნინო ჩხეტია